ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3929381

ნომერი: AR1590746

თარიღი : 03.04.2018

გაცემის თარიღი : 27.04.2018

გაცნობის თარიღი : 27.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სუხიშვილი , N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუხიაშვილი პ/ნ 01024019289
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03 აპრილის №AR1590746 განაცხადით მომართა გიორგი მუხიაშვილმა თანაგანმცხადებელ ლევან ნასყიდაშვილთან ერთად და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებით ქ. თბილისში, სულხანიშვილის ქ. №7–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.39.029.046) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად საპროექტო მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრის დაფიქსირება, ხოლო, საცხოვრებელი ობიექტის ნაცვლად - ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტის, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37–ე დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ ეტაპად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს (მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის), პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

სამსახურის 2016 წლის 05 დეკემბრის №2970698 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რაც წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიას. შესაბამისად, ბრძანებაში დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებელობას დააკმაყოფილოს 2018 წლის 03 აპრილის №AR1590746 განაცხადით წარმოდგენილი მოთხოვნა აქტში დამკვეთის ცვლილების შეტანის თაობაზე.
რაც შეეხება საპროექტო ობიექტის დანიშნულების ცვლილებას, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების თაობაზე აღნიშნული მოთხოვნით განცხადება საჭიროა წარმოდგენილი იქნას შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განცხადებები > I სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და მიეთითოს შესაბამისი პარამეტრები.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge